ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4133511

ნომერი: AR1623242

თარიღი : 15.08.2018

გაცემის თარიღი : 23.08.2018

გაცნობის თარიღი : 23.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 124;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ბედინაძე პ/ნ 61008013148
- თბილისი, მირიან მეფის #109

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია სარეკლამო აბრის განთავსება, მხოლოდ მოცულობითი ასოებით ფონის ცვლილების გარეშე. შესაბამისად წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი, მითითებული სარეკლამო აბრის მასალები და დეტალური გაბარიტული ზომებით.
დამატებით წარმოსადგენია საკადასტრო გეგმაზე საპროექტო არეალის მონიშვნა.
თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შპს „ჯიბესა“ და შპს „გარმენტს ჰაბს“ შორის დაიდო ქვეიჯარის ხელშეკრულება. იმისათვის, რომ სამსახურისთვის შესაძლებელი იყოს განცხადების განხილვა საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ შპს „ჯიბეს“ ჰქონდა იმის უფლებამოსილება, რომ დაედო ასეთი სახის ხელშეკრულება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესა და შპს „ჯიბეს“ შორის არსებული სარგებლობის ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე, ასევე შესაძლებელია მისი უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. რაც შეეხება წარმოდგენილ ქვეიჯარის ხელშეკრულებას ვინაიდან დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით საჭირო დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში და შესაბამისი ცვლილება ასახულ იქნეს ამონაწერში და წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული დამოწმებული ხელშეკრულება, ან ქვემეიჯარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ასევე შესაძლებელია დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.